# ხელშეკრულება 02-14/10

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 18 დეკემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი" (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის კახა შავაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „პროვაიდერ.ჯი-provider.ge" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმომადგენელი დირექტორის სალომე კიკვაძის სახით მეორეს მხრივ, (შემდგომში - მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია - 18400000, 19600000, 3370000, 3950000, 39800000 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 საქონლის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს - 753.55 (შვიდასორმოცდაცამეტი ლარი და 55 თეთრი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის საქონელება ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის საქონელება მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია საქონელი მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში.

5. საქონელება მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის საქონლის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე ანგარიშ-ფაქტურის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათი დღისა).

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის საქონლის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულების შეწყვეტასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,02%-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერიდან 2018 წლის 28 იანვრის ჩათვლით.

### 10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

### 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონელზე მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

### 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების საქონელზე მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების საქონელზე რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი | შპს "პროვაიდერ.ჯი-provider.ge" |
| მის: ქ. ბათუმი ფარნავაზ მეფის 73 | ქ. ბათუმი ვახტან გორგასლის 34 |
| აჭარის ა.რ. ბიუჯეტი | სს „პროკრედიტბანკი საქართველო" |
| 74036 | ანგარიშის ნომერი GE13PC0193600100011836 |
| საიდენტიფიკაციო კოდი 245624702 | საიდენტიფიკაციო კოდი 445427119 |
| დირექტორი | დირექტორი |
| კახა შავაძე | სალომე კიკვაძე |

№02-14/10 ხელშეკრულების დანართი №1

| რიგი | საქონლის აღწერა | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ფასი | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადები | CPV კოდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX |
| 1 | მტვრისგან დამცავი საშუალება | ც | 6 | 9 | 54 | ბათუმი ფარნავაზ მეფის 73 | 05.03.17-15.03.17 | 398330000 |
| 2 | მტვრისგან დამცავი საშუალება | ც | 5 | 5.2 | 26 | | | 398330000 |
| 3 | ტუალეტის საწმენდი | ც | 7 | 3.2 | 22.4 | | | 39831600 |
| 4 | ჭურჭლის სარეცხი ნაჭრები | ც | 7 | 0.8 | 5.6 | | | 39525600 |
| 6 | იატაკის საწმენდები | ც | 4 | 13 | 52 | | | 39831300 |
| 7 | ერთჯერადი ხელთათმანები | ც | 5 | 2.5 | 12.5 | | | 18424300 |
| 8 | ტუალეტის საწმენდი | ც | 3 | 5.25 | 15.75 | | | 39831600 |
| 9 | ქაღალდის ხელსახოცები | ც | 110 | 2.4 | 264 | | | 33764000 |
| 10 | ტუალეტის ქაღალდი | ც | 8 | 26 | 208 | | | 33761000 |
| 12 | პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები | ც | 5 | 3.5 | 17.5 | | | 19640000 |
| | პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები | ც | 10 | 1 | 10 | | | 19640000 |
| 13 | საპონი | ც | 12 | 3.15 | 37.8 | | | 33711900 |
| 14 | საპრიალებელი ტილოები | ც | 8 | 1.4 | 11.2 | | | 39525810 |
| 15 | დეოდორანტები | ც | 6 | 2.8 | 16.8 | | | 39811300 |
| | ჯამი: | | | | 753.55 | | | |

შემსყიდველი

ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი
დირექტორი

კახა შავაძე

მომწოდებელი

შპს პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE

№02-14/10 ხელშეკრულების დანართი №1

| რიგი | საქონლის აღწერა | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ფასი | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადები | CPV კოდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX |
| 1 | მტვრისგან დამცავი საშუალება | ც | 6 | 9 | 54 | ბათუმი ფარნავაზ მეფის 73 | 05.03.17-15.03.17 | 398330000 |
| 2 | მტვრისგან დამცავი საშუალება | ც | 5 | 5.2 | 26 | | | 398330000 |
| 3 | ტუალეტის საწმენდი | ც | 7 | 3.2 | 22.4 | | | 39831600 |
| 4 | ჭურჭლის სარეცხი ნაჭრები | ც | 7 | 0.8 | 5.6 | | | 39525600 |
| 6 | იატაკის საწმენდები | ც | 4 | 13 | 52 | | | 39831300 |
| 7 | ერთჯერადი ხელთათმანები | ც | 5 | 2.5 | 12.5 | | | 18424300 |
| 8 | ტუალეტის საწმენდი | ც | 3 | 5.25 | 15.75 | | | 39831600 |
| 9 | ქაღალდის ხელსახოცები | ც | 110 | 2.4 | 264 | | | 33764000 |
| 10 | ტუალეტის ქაღალდი | ც | 8 | 26 | 208 | | | 33761000 |
| 12 | პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები | ც | 5 | 3.5 | 17.5 | | | 19640000 |
| | პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები | ც | 10 | 1 | 10 | | | 19640000 |
| 13 | საპონი | ც | 12 | 3.15 | 37.8 | | | 33711900 |
| 14 | საპრიალებელი ტილოები | ც | 8 | 1.4 | 11.2 | | | 39525810 |
| 15 | დეოდორანტები | ც | 6 | 2.8 | 16.8 | | | 39811300 |
| | ჯამი: | | | | 753.55 | | | |

შემსყიდველი

ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი

დირექტორი

კახა შავაძე

მომწოდებელი

შპს პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE